

საკვებ მცენარეთა ეთნობოტანიკა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების
კახეთში, ქიზიყსა და თუშეთში (ი. ჯავახიშვილის ეთნოგრაფიული
მასალების მიხედვით)

მარიამ სარქისიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ბაცაცაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

სარჩევი

სურათებისა და ცხრილების ნუსხა.....	iii
რეზიუმე.....	5
შესავალი.....	7
<i>გასტრონომია, როგორც ტრადიციული მემკვიდრეობა</i>	7
<i>გასტრონომიული ეთნობიოლოგიის კვლევითი მიმართულებები</i>	7
<i>ეთნობოტანიკური კვლევები საქართველოში</i>	8
კვლევის ობიექტი და მეთოდები	9
შედეგები.....	7
დისკუსია.....	17
ბიბლიოგრაფია.....	25
დანართი 1.....	30
დანართი 2.....	45

სურათებისა და ცხრილების ნუსხა

სურ. 1. საქართველოს დასახლებული პუნქტები, რომლებშიც 1930-იან წლებში ი. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა წიგნის „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის“ მე-3 ტომის მე-2 ნაწილისათვის „საჭმელ-სასმელი“ (1986). შემოსაზღვრულია ის სოფლები, რომელთა ეთნობოტანიკური მასალა გაანალიზებულია მოცემულ ნაშრომში.

სურ. 2. ახმეტის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის პავილიონი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. გადაღების თარიღი უცნობია. მფლობელი: ელევთერ ლაფაჩი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექცია „ეროვნული ფოტომატიანე“.

სურ. 3. შენაქო, თუშეთი. ფოტოს მფლობელი: გიორგი ჯავახიშვილი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექცია „ეროვნული ფოტომატიანე“.

სურ 4. კახეთის (გარე და შიდა კახეთის) და ქიზიყის სოფლებში 1930-იან წლებში საკვებად გამოყენებულ ველურ მცენარეთა განაწილება ბოტანიკურ ოჯახებში. ინდექსის გამოანგარიშებისას არ იყო გათვალისწინებული სახეობათა უმად გამოყენება, რადგან გამოყენების ამ კატეგორიაზე ინტერვიუებში ყურადღება მეტწილად არ იყო გამახვილებული.

სურ 5. თუშეთის სოფლებში 1930-იან წლებში საკვებად გამოყენებულ ველურ მცენარეთა განაწილება ბოტანიკურ ოჯახებში. ინდექსის გამოანგარიშებისას არ იყო გათვალისწინებული სახეობათა უმად გამოყენება, რადგან გამოყენების ამ კატეგორიაზე ინტერვიუებში ყურადღება მეტწილად არ იყო გამახვილებული.

სურ. 6. 1930-იან წლებში კახეთის (გარე და შიდა კახეთის, ქიზიყის) სოფლებში საკვებად გამოყენებულ მცენარეთა (მათ, შორის, კულტურულ და ველურ მცენარეთა) სახეობების რაოდენობა ი. ჯავახიშვილის მასალების (1986) მიხედვით.

სურ. 7. 1930-იან წლებში კახეთში (გარე და შიდა კახეთი, ქიზიყი) საკვებად გამოყენებულ კულტურულ მცენარეთა კულტურული მნიშვნელობის ინდექსი (CI) ი. ჯავახიშვილის მასალების (1986) მიხედვით.

სურ. 8. 1930-იან წლებში კახეთში (გარე და შიდა კახეთი, ქიზიყი) საკვებად გამოყენებულ ველურ მცენარეთა კულტურული მნიშვნელობის ინდექსი (CI) ი. ჯავახიშვილის მასალების (1986) მიხედვით.

ცხრილი 1. 1930-იან წლებში კახეთში (გარე და შიდა კახეთი, ქიზიყი) საკვებად გამოყენებულ მცენარეთა ნუსხების ჟაკარის ინდექსით შედარების შედეგები.

ცხრილი 2. 1930-იან წლებში კახეთში (გარე და შიდა კახეთი, ქიზიყი) საკვებად გამოყენებულ მცენარეთა ნუსხების ჟაკარის ინდექსით შედარების შედეგები.

რეზიუმე

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და მეურნეობის მართვის არამდგრადი პრაქტიკების ფართო გავრცელების პირობებში ხალხური/ტრადიციული ცოდნის სისტემები აღიარებულია, როგორც არამატერიალური მემკვიდრეობა, რომელიც გაფრთხილებას საჭიროებს.

კვლევის მიზანი იყო საკვებ მცენარეთა გამოყენების კვლევა მე-20 საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში, კერძოდ, გარე კახეთში, შიდა კახეთში, ქიზიყსა და თუშეთში ი. ჯავახიშვილის მიერ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით.

ი. ჯავახიშვილის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის ეთნობოტანიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში კახეთში (გარე კახეთში, შიდა კახეთსა და ქიზიყში) საკვებად გამოყენებული მცენარეების 32 ბოტანიკური ოჯახის 73 ან მეტი სახეობა. თუშეთში გამოვლინდა საკვებად გამოყენებული მცენარეების 23 ბოტანიკური ოჯახის 57 ან მეტი სახეობა.

გარე და შიდა კახეთსა და ქიზიყში ველური სახეობები აღრიცხულ საკვებ მცენარეთა დაახლოებით 36%-ს შეადგენს, ხოლო თუშეთში - 73%-ს, რაც მოსალოდნელი იყო მაღალმთიანი რეგიონისათვის. შედარებით მაღალია ველური მცენარეების გამოყენების წილი შიდა კახეთში, რაც ტყის ვრცელ მასივებთან ამ რეგიონის სოფლების სიახლოვეთ უნდა აიხსნას.

კულტურულ მცენარეთა საერთო სახეობების წილი ყველაზე მაღალია გარე და შიდა კახეთში, რისი მიზეზიც მე-20 საუკუნის 30-იანი წლების კახეთის რეგიონებს შორის სასოფლო-სამეურნეო პირობების, ასევე სხვადასხვა სახის სოციალური კავშირების თავისებურებებში უნდა ვეძიოთ. თუმცა შესაძლოა მიღებული შედეგზე ხელმისაწვდომი მასალების რაოდენობითი ანალიზისათვის ვარგისიანობასთან დაკავშირებულ ხარვეზები ახდენდეს გავლენას (მაგ., მთხრობელების შედარებით მცირე რიცხვი თითოეული სოფლიდან, ინტერვიუების მკაცრი საერთო სქემის არარსებობა).

მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ინტერვიუებში დასახელებულ ველურ მცენარეთა ტრადიციული გამოყენება კახეთისა და თუშეთის დღევანდელ მოსახლეობას ახსოვს

და ამ მცენარეებს კვლავაც იყენებს, რაც ასახულია ამ რეგიონში უკანასკნელ წლებში ჩატარებული ეთნობოტანიკური კვლევების შედეგად გამოქვეყნებულ მასალებში. ახალი მასალები შეიცავს გაანალიზებულ ეთნოგრაფიულ კრებულში მოცემულზე მნიშვნელოვნად მეტ მცენარეს, რაც ერთი მხრივ, უახლესი ინტერვიუების და მათთან ერთად ჩანაწერების ანუ მცენარეთა გამოყენების ანგარიშების გაცილებით დიდმა რიცხვმა, ხოლო მეორე მხრივ, გამოკითხვის ბოტანიკოსების მიერ ჩატარებამ და ინტერვიუების მსვლელობისას მცენარეთა ველზე ინდეტიფიკაციის შესაძლებლობამ განაპირობა.